ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 246

“ 1 ” ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დისევის ქუჩა №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.01.008.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დისევის ქუჩა №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.01.008.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 9 სექტემბრის №20.1018.1288 განკარგულების დანართი 1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დისევის ქუჩა 7-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.01.008.011) მდებარე უძრავი ქონების, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისი, დისევის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.008.011)

N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკეცილი ბინა ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი	საკადასტრო კოდი
1	დემურ სახოკია	01001077131	სართული 1, ბინა N4	18.23 კვ.მ	01.13.01.008.011.01.004
2	ავთანდილ ტაბატაძე	38001039602	სართული 1	17.25 კვ.მ	01.13.01.008.011.01.522
3	ივანე ბერიშვილი	38001013067	სარდაფი	38.10 კვ.მ	01.13.01.008.011.01.521
4	ბადრი სამხარაძე	54001025013	სხვენი	20.47 კვ.მ	01.13.01.008.011.01.518
5	ია ზექალაშვილი	57001050110	სხვენი	31.88 კვ.მ	01.13.01.008.011.01.519
			სხვენი	23.02 კვ.მ	01.13.01.008.011.01.517